

VII თავი

საგამოცდო პროცესი და შედეგების გასაჩივრება

ბსუ-ში საგამოცდო პროცესი წარიმართება „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ შესაბამისად (იხ. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის N05 დადგენილება, **გზამკვლევის დანართი N19**), რომლითაც განსაზღვრულია სტუდენტის ქცევის წესები გამოცდის მიმდინარეობის დროს, ასევე საგამოცდო პროცესზე დამკვირვებლის უფლება-მოვალეობები.

საგამოცდო ცენტრში და იმ აუდიტორიებში, სადაც ტარდება გამოცდები, მიმდინარეობს ვიდეო-მონიტორინგი.

შუალედურ ან/და დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოცდის აღდგენის, დამატებით გამოცდაზე გასვლის პირობები და სტუდენტის მიერ მიღებული შედეგის გასაჩივრების მექანიზმი აღწერილია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით (წინამდებარე **გზამკვლევის დანართი 2**).

შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში (განსაკუთრებული საპატიო მიზეზით - ოჯახის წევრის გარდაცვალება და უნივერსიტეტის სახელით საგანმანათლებლო-კულტურულ ღონისძიებაში მონაწილეობა), გამოცდის აღდგენა დასაშვებია გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა. სტუდენტმა გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და წარუდგინოს გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების დამადასტურებელი არგუმენტები და მტკიცებულებები (დოკუმენტი/ცნობა). სტუდენტის განცხადება დეკანის მიერ განიხილება 2 სამუშაო დღის ვადაში და გამოიცემა დეკანის ბრძანება, რომელიც დაუყოვნებლივ ეცნობება სტუდენტს და შესაბამისი საგნის ლექტორს.

დასკვნით (ძირითად) გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, გამოცდის აღდგენა დასაშვებია იმავე წესით, როგორც ეს განმარტებულია შუალედური გამოცდებისათვის (იხილეთ ზემოთ).

სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, თუკი შესაბამისი სასწავლო კურსში საბოლოო შეფასება (შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შედეგები) აქვს (FX)ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასებების ჯამით მიიღო 41 ქულაზე ნაკლები ან არ გამოცხადდა, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

გამოცდის შედეგები (შეფასება) სტუდენტს ეცნობება შესაბამისი გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში. შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. დარეგისტრირებული საჩივარი ფაკულტეტის დეკანის მიერ რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, რომელიც განიხილავს მას 2 სამუშაო დღის ვადაში. დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ლექტორი/კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო ნიშნის ასახვის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, თუკი საჩივრის (პრეტენზიის) წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში არ იქნება განხილული საჩივარი ან ლექტორის მიერ მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება, სტუდენტს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომელიც საჩივრის განხილვის მიზნით ქმნის სააპელაციო კომისიას. ამ კომისიას უფლება აქვს პირველივე სხდომაზე დაადგინოს სტუდენტის შეფასების წესი, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, როგორც ბსუ-ში მოქმედ წესებს, ასევე შესაბამისი საგნის სპეციფიკას.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორს. პრეტენზიის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააპელაციო კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო შეფასების ასახვის თაობაზე.